ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2641445

ნომერი: AR1411218

თარიღი : 06.06.2016

გაცემის თარიღი : 09.06.2016

გაცნობის თარიღი : 09.06.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თორნიკე იუკურიძე პ/ნ 01018001241
- თბილისი ს. დიღომი დიდგორის ქ. N 10

ორგანიზაცია:
- შპს "რომპეტროლ საქართველო" კოდი: 204493002

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია არსებული ავტოგასამართი სადგურის ძირეული რეკონსტრუქცია. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 გადაწყვეტილების თანახმად, ექსტერიერის ძირეული რეკონსტრუქცია არის შენობა-ნაგებობის ფასადებისა ან/და სახურავის რეკონსტრუქცია, რომლის დროსაც იცვლება შენობა-ნაგებობის ექსტერიერის ელემენტების, მასალების ან/და ფერის ნახევარზე მეტი;

ზემოაღნიშნულის შესაბამისად საკითხი ვერ იქნება განხილული I კლასის კუთხით და რეკონსტრუქცია უნდა განახორციელოთ იმ კლასის შესაბამისად, რომელ კლასსაც განეკუთვნება ობიექტი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.